

საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბედგადიც ბეჭდუდით სიფყავა, ფყილებით და ჭაბუბით ბუბთის გაფანა ყველა უკადრისდბაყ უსაბაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, **27** აგვისტო, 2014 წელი.

№171 (7552)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge **ვებ გვერდი: www.open.ge** **ფასი 50 თეთრი.**

ჩემს ოჯახში, შენისგან განსხვავებით, ვაჟნი ქორწინდებიან და ქალნი თხოვდებიან!

ანუ შეგონება საკუთარ ნახვში ყელაგდე ჩაფლული მოფაფხურა ნასის - ენაამყრალბული ბიორბი ვაუაქისტვის 2

ყველაფრის მიუხედავად, მე შენი გვარი არ გამიღანბდავს, არ დავმდაბლებულვარ იმ დონებზე, რომ ვაშაძებზე აუგი მეტქვას, შენ კი ჩემი გვარი შეურაცხევე. ამას კი ნამდვილად არ გაპატიებ.

თურქეთის პრეზიდენტის ინაუგურაციის ღარიბაშვილი დასწრება

საძარბაველს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე იმ მიზეზს განმარტავს, რის გამოც თურქეთის პრეზიდენტის ინაუგურაციას დასასწრებად არა საქართველოს პრეზიდენტი, არამედ პრემიერ-მინისტრი გაემგზავრება.

– იმის გამო, რომ საქართველოს და თურქეთის პრეზიდენტების ვიზიტების გაცვლა წელს უკვე მოხდა – მოგვხსენებთ, ბატონი გიორგი მარგველაშვილი ბრძანდებოდა თურქეთში და თურქეთის პრეზიდენტიც იმყოფებოდა საქართველოში, თურქეთის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე მიემგზავრება საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ირაკლი ღარიბაშვილი არ ყოფილა თურქეთში, რაც ის პრემიერ-მინისტრია. თურქეთის მხრიდანაც იყო მოლოდინი, რომ საქართველოდან პრემიერი ჩავიდოდა, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის შეფასებით, ამაში არაფერი განსაკუთრებული არ არის.

თურქეთის ახლად არჩეული პრეზიდენტის რეჯეფ ტაიპ ერდოღანის ინაუგურაცია 28 აგვისტოს ანკარაში გაიმართება.

აშუ აფხაზეთის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს არ აღიარებს

ამის შესახებ აშუ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენ ფსაკიმ განაცხადა. „ჩვენი პოზიცია აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ცხადი რჩება: ეს რეგიონები საქართველოს განუყოფელი ნაწილია. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს ის ვალდებულებები, რომელიც 2008 წელს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აქვს დაკისრებული, რაც ითვალისწინებს რუსეთის ჯარების გაყვანას კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე, საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების გადაწყვეტილების შეცვლას და ჰუმანიტარული დახმარების თავისუფლად შესვლას რეგიონში“, – განაცხადა ჯენ ფსაკიმ.

როგორც აშუ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, აშუ კიდევ ერთხელ უცხადებს სრულ მხარდაჭერას შენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებს, რაც კონკრეტული პროგრესის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს.

S O S! **ქართველი ხალხის დიდი ნაწილი კიბოთია დაავადებული...**

ქართული დიასპორის გასაჭირი

თამარ ულაშვიტი - „ქართული ხალხის“ დიასპორის ბერლინი

ღღის ამოკაზურიდან

სიმაძი ბაქაძემ დაუცხაბახოს...

– ზოგი სიმაძი სიძის იმედად არის, როგორც, მაგალითად, სააკაშვილის სიმაძრი, ბაქაძეს კი ყველაფერში გაუმართლა ბედმა, თუმცა, ის კი საკვირველია, სულ შეიღლიშვილებს რომ დაუტოვა, ამდენი თანხა, ცოტა რატიომ თავის ქალიშვილსაც არ არგუნა, რომ თუნდაც სახელმწიფოს ხარჯზე არ ელაპარაკა მობილური ტელეფონით და ათი ათასობით ლარი არ დაესხრჯა?! თუმცა, მუქთა ცხოვრებას რომ მიეჩვევი, მერე ძნელია საკუთარ ჯიბეში ხელის ჩაყოფა...

ღმერთმა ნურც სიდედრის იმედი მოუშალოს ჩვენი პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს, რა იცო როდის დასჭირდება...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..

ვითარება



რა იქნება ბრიუსელის რეკომენდაციის საპირფარეო?

ბრიუსელი ევროკავშირის წევრობის კანდიდატ სახელმწიფოებს რეკომენდაციით მიმართავს, რომ თავი შეიკავონ რუსეთის ბაზარზე ევროპელი მწარმოებლების პროდუქციის ჩანაცვლებისგან, რათა გამოხატონ საერთაშორისო სოლიდარობა და შეასრულონ საერთაშორისო კანონები. ამის შესახებ განაცხადებდა ევროკომისიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პიტერ სტანომ გააკეთა.

რა დედან საქართველო ექსპორტის თვალსაზრისით სერიოზული ქვეყანა არ გახლავთ. „ჩვენ მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა ვართ, არ წარმოვადგენთ ექსპორტის თვალსაზრისით რაიმე სერიოზულ ქვეყანას, ამიტომ საქართველო მდგომარეობიდან გათვალისწინებით, სწორი არ არის. მაგრამ თამაშის წესები მოითხოვს, რომ რადგან პარტნიორი ორგანიზაციები გთხოვენ კრიზისულ სიტუაციაში მხარდაჭერას, ჩვენ იძულებული ვართ, გავიგოთ მათი მოთხოვნა. იმიტომ, რომ ჩვენ რომ დავგვირდეს, ჩვენც უნდა მოვუწოდოთ და ჩვენც გაგოცტუაციამ იმედი უნდა გვქონდეს. რთული სიტუაციაა, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობა მოითხოვს, რომ კარგად იქნას დათვლილი ყველაფერი. პარტნიორი ქვეყანა ნიშნავს, რომ კრიზისულ მდგომარეობაში იყო მის გვერდით. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია პარტნიორობის სახე, მიზნები და ამოცანები. თუმცა, ეს პრობლემებს ქმნის საქართველოსთვის და საქართველოს მთავრობამ კომპენსაციებზე უნდა იფიქროს იმ ფერმერებისთვის და იმ ბიზნესებისთვის, რომლებსაც საქონელი გააქვთ რუსეთში“, - აცხადებს for.ge-სთან საუბრისას დემურ გომრეხიძე.

ეს უნდა ვიცოდეთ!

ვისთან შენება საქართველოს საპირფარეო რეჟიმში?

საქართველოს საბარეო სექტორი სავაჭრო ურთიერთობების განვითარების მიზნით მოქალაქეებსა და მოქალაქე-დინი მიზნებისთვის საქართველოში უვიზოდ შემოსვლა პირველი სექტორიდან რეგულაციის მიხედვით. ეს ქვეყნებია:

1. ავსტრალიის თანამეგობრობა,
2. ავსტრიის რესპუბლიკა,
3. აზერბაიჯანის რესპუბლიკა,
4. ალბანეთის რესპუბლიკა,
5. ამერიკის შეერთებული შტატები,
6. ანდორის სამთავრო,
7. ანტიგუა და ბარბუდა
8. არაბთა გაერთიანებული საამიროები,
9. არგენტინის რესპუბლიკა,
10. ახალი ზელანდია,
11. ბარბადოსი,
12. ბაჰრეინის სამეფო,
13. ბაჰამის თანამეგობრობა,
14. ბელარუსის რესპუბლიკა,
15. ბელგიის სამეფო
16. ბელისი,
17. ბოსნია და ჰერცეგოვინა,
18. ბოტსვანის რესპუბლიკა,
19. ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა,
20. ბურუნდი-დარუსალამი,
21. ბულგარეთის რესპუბლიკა,
22. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა,
23. დანიის სამეფო,
24. დანიის სამეფოს ტერიტორიები - ფარერის კუნძულები და გრენლანდია,
25. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო,
26. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საზღვარგარეთის ტერიტორიები - ბერმუდის კუნძულები, კაიბრის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები, ფოლკლენდის კუნძულები, ტერსის და კაიკოსის კუნძულები, გიბრალტარი;
27. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დამოკიდებული ტერიტორიები - ჯერზი, გერნზი, კუნძული მენი,
28. დომინიკის რესპუბლიკა,
29. ეკვატორის რესპუბლიკა,
30. ევანგელის რესპუბლიკა,
31. ესპანეთის სამეფო,
32. ესტონეთის რესპუბლიკა,
33. თურქეთის რესპუბლიკა,
34. თურქმენეთი,
35. იაპონია,
36. ირლანდიის რესპუბლიკა,
37. ისლანდია,
38. ისრაელის სახელმწიფო,
39. იტალიის რესპუბლიკა,
40. კანადა,
41. კატარის სახელმწიფო,
42. კვიპროსის რესპუბლიკა,
43. კოლუმბიის რესპუბლიკა,
44. კორეის რესპუბლიკა,
45. კოსტა-რიკის რესპუბლიკა,
46. ლატვიის რესპუბლიკა,
47. ლიბანის რესპუბლიკა,
48. ლიხტენშტაინის სამთავრო,
49. ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო,
50. მაკაოს რესპუბლიკა,
51. მალაიზია,
52. მალტის რესპუბლიკა,
53. მექსიკის შეერთებული შტატები,
54. მონაკოს სამთავრო,
55. მოლდოვის რესპუბლიკა,
56. მონტენეგრო,
57. ნიდერლანდების სამეფო,
58. ნიდერლანდის სამეფოს ტერიტორიები - არუბის და ნიდერლანდის ანტილის კუნძულები,

60. ნორვეგიის სამეფო,

61. ომანის სასულთნო,
62. პანამის რესპუბლიკა,
63. პოლონეთის რესპუბლიკა,
64. პორტუგალიის რესპუბლიკა,
65. რუმინეთი,
66. რუსეთის ფედერაცია,
67. საბერძნეთის რესპუბლიკა,
68. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა,
69. სან-მარინოს რესპუბლიკა,
70. საუდის არაბეთის სამეფო,
71. საფრანგეთის რესპუბლიკა,
72. საფრანგეთის რესპუბლიკის ტერიტორიები - საფრანგეთის პოლინეზია და ახალი კალედონია,
73. სეიშელის კუნძულები,
74. სენტ-ვინსენტი და გრენადინები,
75. სერბეთის რესპუბლიკა,
76. სინგაპურის რესპუბლიკა,
77. სლოვაკეთის რესპუბლიკა,
78. სლოვენის რესპუბლიკა,
79. სომხეთის რესპუბლიკა,
80. ტაილანდის სამეფო,
81. ტაჯიკეთის რესპუბლიკა,
82. უზბეკეთის რესპუბლიკა
83. უკრაინა,
84. უნგრეთი,
85. ფინეთის რესპუბლიკა,
86. ქუვეიტიის სახელმწიფო,
87. ყირგიზეთის რესპუბლიკა,
88. ყაზახეთის რესპუბლიკა,
89. შედეთის სამეფო,
90. შვეიცარიის კონფედერაცია,
91. ჩეხეთის რესპუბლიკა,
92. წმინდა საყდარი,
93. ხორვატიის რესპუბლიკა,
94. ჰონდურასის რესპუბლიკა.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლა შეუძლიათ სამგზავრო დოკუმენტის, ასევე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის მოწმობის საფუძველზე. საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში 90 კალენდარულ დღის ვადით უვიზოდ ყოფნის უფლება აქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი სპეციალიზებული სააგენტოების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტის - ლევე-პასეს (Laissez-Passer) მფლობელ უცხოელებს. იგივე წესი ვრცელდება იმ ქვეყნის მოქალაქეებზეც, რომლებთანაც საქართველოს გააჩნია ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები უვიზო მიმოქცევის შესახებ, რომელშიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის კონკრეტული ვადები (აზერბაიჯანი, ბელარუსი, სომხეთი, ტაჯიკეთი, მოლდოვა, უზბეკეთი, უკრაინა, ყირგიზეთი).

სექტემბრიდან ძალაში შედის ახალი კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რომელიც მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის დაჯარვებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადდა. კანონის თანახმად, საქართველოში უვიზოდ ყოფნის ვადა შემცირდა და 360 დღის ნაცვლად, 180-დღიან პერიოდში 90 დღით განისაზღვრა.

საქართველოში შემოსასვლელი ყველა ტიპის ვიზა 50 დოლარი ეღირება. ვიზების მიღება მხოლოდ საკონსულოებში იქნება შესაძლებელი, „განსაკუთრებულ შემთხვევებში“ კი - საზღვარზეც. ასეთ შემთხვევებს კი, საქართველოს მთავრობა დაადგენს.

საქართველოს უვიზო რეჟიმი 118 ქვეყნისთვის უქონდა. 24 ქვეყანას უვიზო რეჟიმი გაუქმდა.



© რა ხდება ამოხარებითა?

ყაზახეთში კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად ემზადებიან

30 აპრილს ყაზახეთში აღინიშნება კონსტიტუციის დღე. 19 წლის წინ ყაზახებმა გააკეთეს საკუთარი არჩევანი და განსაზღვრეს შემდგომი განვითარების გზები. 1995 წელს მიიღეს ქვეყნის პირველი კონსტიტუცია-უფლებების დაცვის და თავისუფლების გარანტი. მაგალითი იმისა თუ როგორ მკაცრად უნდა დაიცვან კანონის ძირითადი დებულებები. მაგალითად, ქვეყნის, რომელმაც მოკლე დროში ჩამოაყალიბა ძლიერი სახელმწიფოებრიობა და ურყევი დამოუკიდებლობა. როგორც ჩანს სახელმწიფო მშენებლობის გამოცდილებას ამ ქვეყანაში უნდა მიექცეს ყურადღება.

„კონსტიტუციამ, როგორც დამოუკიდებლობის და განუყოფლობის გარანტიამ, გააძლიერა ჩვენი ერთიანობა და გახდა სტაბილურობისა და ურთიერთობების საწყისი“
ნურსულთან ნაზარბაევი

წლების განმავლობაში ყველა მხრიდან წარმატებული ქვეყნის კონსტიტუციამ შექმნა საზოგადოების განვითარების პირობები. ძირითადი კანონი თანაბარი უფლებებისა, შესაძლებლობებისა და მრავალეროვნული ყაზახეთის მოქალაქეების ინტერესების გარანტია. შესაბამისად, კონსტიტუციის დღე - ქვეყნის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია. დღეს საზოგადოებაში ერთიანობის და თანხმობის წყალობით რესპუბლიკამ მიაღწია პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, შექმნილია აუცილებელი პირობები ქვეყნის მოქალაქეების უფლებების რეალიზაციის და თავისუფლების დასაცავად.



კონსტიტუციაში ნათლად არის განლაგებული საერთო ღირებულებები და კონცეფციები რესპუბლიკის ყველა მოქალაქისთვის, ისეთი, როგორც არის სინამდვილე, ხელშეუხებლობა და ყაზახეთის მინის განუყოფლობა, სადაც ურთიერთგაგებობა და მეგობრობით ცხოვრობს 140 ეთნოსი და 46 რელიგიური თემი. მკაცრად არის აკრძალული დისკრიმინაცია მოქალაქეებზე სქესის, რასის, ეროვნების, ენის, რელიგიური და სხვა მახასიათებლების მიხედვით. კონსტიტუციამ აკრძალა პოლიტიკური და იდეოლოგიური მრავალფეროვნება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, **ხალხის ფლობის პრინციპი**, სახელმწიფო სიმბოლიკა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, ადამიანის და მოქალაქის უფლებები და თავისუფლება, საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა, ახალი ხელისუფლების სისტემა. მთელი ამ წლების განმავლობაში სახელმწიფო ანხორციელებს პოლიტიკას ამ კონსტიტუციური ღირებულებებით.

ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ქვეყნის კონსტიტუციური ორგანო - ყაზახეთის სახალხო კრებაა, რომლის მხრიდან, პარლამენტში, წარდგენილია 9 დეპუტატი. 2012 წელს ასტანაში გაიმართა მსოფლიო ლიდერების და ტრადიციული რელიგიების უკვე IV ტრადიციული კონგრესი, მთავარი თემა, რომელიც აირჩიეს, არის „მშვიდობა და ურთიერთშეთანხმება, როგორც კაცობრიობის არჩევანი“. ამ ფონზე არ შეიძლება არ აღინიშნოს დიდი და მრავალმხრივი ძალისხმევა ენის აღორძინების, კულტურის, ყაზახური პატრიოტიზმის აღზრდა, ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების გაღრმავება და თანხმობა, ორასზე მეტ ეთნიკური სკოლის და ენის სკოლების ფუნქციონირება.

ძირითადი კანონი არის მხარდამჭერი სტრუქტურა ყველა სამართლებრივი ჩარჩოებისა, რომელიც არეგულირებს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას. ყაზახეთი იყო ერთერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელმაც გაატარა საპენსიო რეფორმა. ნაციონალური ბანკის მიერ მოზიდულია დაახლოებით 100 მილიარდი დოლარის უცხოური ინვესტიცია. მხოლოდ XXI საუკუნის პირველი

შვიდი წლის განმავლობაში გაორმაგდა მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა. ორჯერ გაიზარდა გამოშვებული, ხოლო ერთნახევარჯერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

ალბათ ქვეყნის ეკონომიკის უმთავრესი მოკლენა იქნება „Expo-2017“-ის გამოფენა, რომელიც გაიმართება სახელწოდებით „მომავლის ენერჯია“. ვარაუდობენ რომ ამ ღონისძიებაში ასზე მეტი ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევიმ აღნიშნა რომ „Expo-2017“ გახდება მთავარი მოკლენა როგორც დედაქალაქის ისე რესპუბლიკის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისა.“ ეს ყაზახეთის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა მისი დამოუკიდებლობის ისტორიაში. ჩვენს დედაქალაქში წარმოადგენენ მსოფლიოს საუკეთესო მიღწევებს მეცნიერების და ტექნოლოგიის დარგში. უამრავი ყაზახი საკუთარი თავით იხილავს მომავლის ეკონომიკას, რომლისკენაც ჩვენ მივიღებთ.“

ყაზახეთის დამოუკიდებლობის მანძილზე დიდი გზა იქნა გავლილი საგარეო პოლიტიკის მოსაგვარებლად. 138 ქვეყანასთან დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა, სხვა ქვეყნებთან და მსოფლიო ორგანიზაციებთან

აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე სამი-ათასზე მეტ შეთანხმებას მოეწერა ხელი, სახელმწიფოთაშორის, სამთავრობოთაშორის და უწყებათაშორის დონეზე. ყაზახეთის დიპლომატიის მნიშვნელოვანი მიღწევად იქცა წარმომადგენლობა ნატოს თავდაცვისა და უსაფრთხოების ორგანიზაციაში.

1992 წლის მარტიდან ოფიციალურად დაიწყო ურთიერთობების დასაგება ევროკავშირთან, როდესაც ნაზარბაევი მიიღო ევროკავშირის წევრები. მას შემდეგ ქვეყანა დაინტერესებულია ევროპული ინვესტიციებით. ნაზარბაევის ინიციატივამ, ყრილობის მოწვევას აზიასთან ნდობისა და თანამშრომლობის შესახებ, ასევე საერთაშორისო აღიერება გამოიწვია. აქ თავმოყრილია აზიის 24 ქვეყანა, რომელიც დედამიწის მოსახლეობის ნახევარს შეადგენს. საგარეო პოლიტიკის მთავარ წინსვლად მიიჩნევა შანხაის ორგანიზაციასთან მრავალმხრივი პარტნიორობა. დღესდღეობით შანხაის ორგანიზაცია, რომლის წევრები არიან: ყაზახეთი, ჩინეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და რუსეთი, თავის მხრივ წარმოადგენს რეგიონალური განვითარების მრავალმხრივ ასპარეზს. 2011 წელს გაეროს სხდომაზე ყაზახეთი თავმჯდომარის როლში იყო ისლამური თანამეგობრობის მხრიდან. აქედან გამომდინარე, ქვეყანამ, რომელსაც არ გააჩნდა საშუალება, გასულიყო მსოფლიო ასპარეზზე, იპოვა თავისი ადგილი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, სადაც, ამყარებს მეგობრულ და თანამშრომლურ ურთიერთობას მსოფლიოს დაწარჩენ ქვეყნებთან. ამ ყველაფრის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ყაზახეთის კონსტიტუცია. ამ ცენტრალური დოკუმენტზე დაყრდნობით ყაზახეთი აშენებს დემოკრატიულ, სამართლებრივ, საერო და სოციალურ რესპუბლიკას. ყაზახეთის ერთიანობა ქვეყნის წინსვლის მთავარი გარანტია. მოსახლეობის 92 პროცენტი ყაზახეთში არსებულ სიტუაციას წარმატებულად მიიჩნევს.

ზაზა ნაზირიძე

დედამიწის ზურგზე



მოხაზა დაზვერვით ფრანგზე სირიის თავზე ისლამური დაჯგუფების ბოლოქაბის პოზიციების შესახებ ინფორმაციის შესაძლებლად საწინააღმდეგო მისი შესახებ იტყობინება სი-ენ-ენი ამერიკის ადმინისტრაციის წყალობით მითითებით. ადრე გაზეთი „დი უოლ სტრიტ ჯორნალი“ იტყობინებოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო მზადაა გაგზავნოს სირიის საჰაერო სივრცეში ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავები, მათ შორის უპილოტოებიც.

პროკონკომ მარკალს ახმოა დონასში ნიჭუასიის გაუარესების შესახებ

მორიგი სატელეფონო საუბრის დროს მხარეებმა განიხილეს აგრეთვე უკრაინის უმაღლესი რაღის უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტის შესახებ და „შეთანხმდნენ, რომ ესაა ნაბიჯი უკრაინის სამოქალაქო საზოგადოების მოლოდინის შესაბამისად, აგრეთვე გზა უკრაინის დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებისაკენ.

გაქვნიანი აპრიკალი ბიოლოგი მოვიწოდებს, მივხატო პლანეტის ნახევარი ხსოველად, რათა თავიდან ავიცილოთ „ბიოლოგიური პოლოკოსტი“



დოქტორ ედვარდ უილსონის აზრით, ეს უბრალოდ აუცილებელია, რომ თავიდან ავიცილოთ სახეობათა მასობრივი გაქრობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დედამიწას ელოდება „ბიოლოგიური პოლოკოსტი“, არანაკლებ მასშტაბური, ვიდრე დინოზავრების გაქრობის დროს.

აშ-ის ექსპერიმენტული ზაზგარითი იარაღი გამოცდის დროს გაუზავიდან რამდენიმე წამის შემდეგ აუთოქა

გამოსაცდელი იარაღი - ესაა სარაკეტო პროგრამის ნაწილი, რომელიც საშუალებას იძლევა გაანადგურონ ნებისმიერი წერტილი დედამიწაზე ერთი საათის განმავლობაში გაშვებისთვის ნების მიღებულად. „ჩვენ მოგვინია, შეგვენყვითა გამოცდა, - თქვა პენტაგონის წარმომადგენელმა. - გამოცდის დროს იარაღი აფეთქდა და პოლიგონზე დაეცა.



❶ ძიუდო

მესამე აღბილით დაპიჯეთ



ჩელიაბინსკში ძიუდოსტთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. ასპარეზობის სტარტზე 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ამირან პაპინაშვილმა საქართველოს სპორტულ დელეგაციას ბრინჯაოს მედალი მოუტანა. პირველ შეხვედრაში ჩვენ-

გეთი) პაექრობა პასიურად დაიწყო და მეტოქეს ვაზარი-იუკოს ართმევის საშუალება მისცა, თუმცა, მალევე მოეგო გონს და ჯერ წონასწორობა აღადგინა, მერე შებოჭა მეტოქე და ნახევარფინალში გავიდა, სადაც მომავალ მონგოლ ჩემპიონ ბოლდბატარ განბატს დაუპირისპირდა. პასიური ჭიდაობისთვის მსაჯმა თავიდან ორივე გააფრთხილა, შესვედრის მიწურულს პაპინაშვილმა მესამე გაფრთხილებაც მიიღო და ორთაბრძოლაც ამით დათმო (თანაც განბატთან ხუთი შეხვედრიდან მეოთხედ წააგო). მონგოლმა, ასევე, გაფრთხილებებით რუსეთელი ევროპის ორგზის ჩემპიონი ბესლან მუდრანოვიც დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, პაპინაშვილმა ბრინჯაოსთვის გადამწვეტ პაექრობაში არტიომ არშანანსკის (ისრაელი) აჯობა და მესამე ადგილი დაიკავა. გუშინ ჩელიაბინსკში ჩემპიონები და პრიზიორები 66 კილოში გამოვლინდნენ, რომელშიც ჩვენ წარმომადგენელი არ გვყოლია. დღეს 73 კგ. კატეგორიაში ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი და ნუგზარ ტატალაშვილი იჭიდავებენ.


ლაშა დიდა

❷ ღირსების საკითხი

წვრილმანი არ არსებობს

ამ დღეებში დიდი ნდობა გამოგვიცხადა სპორტულმა სამყარომ – 2018 წელს ბათუმი მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლებს. მართალია, აჭარის დედაქალაქს ღირსებები არ აკლია, მაგრამ ჯერ კიდევ არის პრობლემა, რომელიც მომავალ ფორუმამდე დარჩენილ სამ წელიწადში, დარწმუნებული ვარ, წარმატებით მოგვარდება და ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება. საუბარია კოპიტნარი – ბათუმის საავტომობილო ტრასის რეკონსტრუქციაზე. ვიმედოვნებ, ამ აქტუალური საკითხის თაობაზე პროფესიონალი მეგზვევები საკუთარ კომპეტენტურ აზრს ფართო საზოგადოებასაც გაუზიარებენ. გასათვალისწინებელია ქობულეთი – ბათუმის მონაკვეთის გაჭიანურებული რეაბილიტაციის აქტივობები (გემასსოვრებათ, როგორ დაიბრალა ასლან აბაშიძის მმართველობისას დაწყებული გვირაბების მშენებლობის ავტორობა სააკაშვილმა). მოკლედ, აღმოსავლეთ საქართველოში აღებული ტემპი მისაბამია და მიხედვით დასავლეთსაც უნდა!

თამაზ ხუჯაძე, ჭადრაკის მოყვარული ქუთაისი.



❸ ჩოგბურთი

სამიდან ორმა იმარჯვა



იტალიის ქალაქ ბაგნატოში სტარტი აიღო საერთაშორისო ტურნირმა, რომლის საპრიზო ფონდიც 15 ათასი დოლარია. შეჯიბრში 3 ქართველი ჩოგბურთელი ჩაება და ორმა მათგანმა გამარჯვება იზეიმა. მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერმა კვალიფიკაციის ერთ-ერთი გამარჯვებული იტალიელი ჯულია სარტორი 6:2, 6:1 დაამარცხა და მერვედფინალში მასპინძლებს – პირველი რეიტინგის მქონე გრიმალსკას და ბალდუჩის შორის უმჯობესეს გაეჯიბრება. მე-4 რეიტინგის მქონე ეკატერინე გორგოძემ ფრანგ მანონ არკანიოლის 6:4, 6:2 სძლია და მე-2 წრეში ასევე ფრანგს – კვალიფიკაციიდან გამოსულ ანჯელა ლეუერსს ეთამაშება. სამწუხაროდ, ბრძოლას გამოეთიშა სოფო ქვაცაბაია, რომელიც სანყის წრეშივე პოლონელ ანა კორჟენიაკთან დამარცხდა – 1:6, 1:6.

ვიტალი ჯაფარიძე

❹ ფეხბურთი

„ატლანტიკო“ სიმეონს დისკვალიფიკაციას გაასაჩივრებს

მადრიდის „ატლანტიკოს“ პრეზიდენტმა ენრიკო სერეზომ განაცხადა, რომ კლუბი გუნდის მთავარი მწვრთნელის დიეგო სიმეონს დისკვალიფიკაციის გასაჩივრებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ არგენტინელი სპეციალისტი ესპანეთის სუპერთასის განმეორებით მატჩში (მადრიდის „რეალთან“) არასპორტული საქციელის გამო რვათამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა – ორი თამაში გაძევებისთვის, ოთხი მეოთხე მსაჯის შეურაცხყოფისთვის, ერთი დამცინავი აპლოდისმენტისთვის და ერთიც მოედანზე დარჩენის მცდელობისთვის. გარდა ამისა, თავად სიმეონე 4,6 ათასი, ხოლო კლუბი 2,8 ათასი ევროთი დაისაჯენ.

გიორგი შოთაძე




❺ წყალბურთი

პირს მორე ბარიერი გადავლახეთ

თბილისის სანყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“, სადაც 19-წლამდე წყალბურთულ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს, საქართველოს ნაკრებმა მე-

ბით მოიგეს, მაგრამ შემდეგ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს და 12:15 დამარცხდნენ. მე-2 ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: გერმანია



ორე მატჩიც წააგო – ამჯერად თურქეთის გუნდს დანებდა. საქართველო-თურქეთი 12:15 (5:4, 2:4, 2:2, 3:5) საქართველო. რაზმაძე, ჩიკვაიძე (2), მოსაშვილი, იმნაიშვილი (2), გაბადაძე, ბითაძე (2), ჯახაია, სამოევი (3), კახეთელიძე, ყაზახიშვილი (3), მაგრაქველიძე, ფურცელაძე, ლეთოღანი, მწვრთნელები – პოპოვიჩი, ბაქრაძე. თურქეთი. სოლაკი, ჩოლაკი (1), კაიანსელჩუკი, აგკურტი, სემე-მოგლი (1), იამანი, სიმსეკი (4), დესტიჩი (5), ბასკაია (4), გორსემი, გესტანი, გედიკი, ოზთურქი, მწვრთნელები – შახბაზი, საბუკი. ამ შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან წარმატების შემთხვევაში ჩვენები მედლებისთვის ბრძოლის შანსს ინარჩუნებდნენ. მართალია, პოპოვიჩის შეგირდებმა პირველი პერიოდი ერთი ბურთის სხვაო-


ჩერნოგორია 6:7, საფრანგეთი – ხორვატეთი 4:9, რუმინეთი – სერბეთი 6:12, უკრაინა – რუსეთი 6:15, საბერძნეთი – იტალია 4:7, სლოვაკეთი – ესპანეთი 8:11, ჰოლანდია – უნგრეთი 9:11. სატურნირო მდგომარეობა ორი ტურის შემდეგ: აჯგუფი. იტალია – 6 (26:8), საბერძნეთი – 3 (10:10), თურქეთი – 3 (19:31), საქართველო – 0 (15:21). ბჯგუფი. უნგრეთი – 6 (27:16), ესპანეთი – 6 (24:14), ჰოლანდია – 0 (15:24), სლოვაკეთი – 0 (15:27). ცჯგუფი. ხორვატეთი – 6 (20:8), ჩერნოგორია – 6 (21:10), გერმანია – 0 (10:18), საფრანგეთი – 0 (8:23). დჯგუფი. სერბეთი – 6 (26:9), რუსეთი – 6 (21:10), რუმინეთი – 0 (10:19), უკრაინა – 0 (9:28).

ლექსო ცინცაძე

❻ ინტერნეტიდან

დაუოკებელი კიმ კარდაშიანი

ცნობილი კალათბურთელის კრის ჰემფრიზის ნაცოლარი, ამერიკელი, სომხური წარმომავლობის მოდელი და მსახიობი კიმ კარდაშიანი, მართალია, ამჯერად უკვე მესამეადა გათხოვილი, მაგრამ ძველებურად თავაშვერბულია და თავისი დადამოკებული და მისი დამოკებული კაციშვილი არ ჩანს...



საყოველთაოდ აცნობილი კიმ კარდაშიანის ფულისადმი დიდი სიყვარული და სწორედ ამის გამო დაშორდა მას კრის ჰემფრიზი. მათი პირადი ცხოვრების ამსახველ ფოტოებსა და ისტორიებს კიმი გამუდმებით ჟურნალებზე ჰყიდდა და ეს მისთვის დამატებითი შემოსავალი იყო. კიმ კარდაშიანი ფულის შოვნის ამჯერად ახალი და ორიგინალური მეთოდი მოიგონა. დიდი თანხის გადახდის შემთხვევაში ნებისმიერ მსურველს სექსის ხელოვნებას აზიარებს, ოღონდ მხოლოდ გარეგნული სახით და საქმე „მასწავლებელსა“ და „მოსწავლეს“ შორის სექსამდე არ მივა. აგერ ნახეთ რამდენი კლიენტი ეყოლება...

როსტომ რაჭველიშვილი

გავშვობა ციფრებსა და ფაქტებში

3-4 წლის ბავშვები დღეში 900 უპიტიზმას იძლევიან

გავშვობა - ესაა პერიოდი ჩვილობიდან ყრმობამდე. ბავშვობის ეტაპებია: დაბადებიდან 1 წლამდე - ჩვილობა, საუკეთესო დრო გრძობების ორგანოების განვითარებისა და ემოციური სფეროსათვის; 1 წლიდან 3 წლამდე - ადრეული ბავშვობა, დრო,

სწრაფულები არიან და ცხოვრებაში მეტ რამეს ალწვენენ, მიაჩნიათ ფსიქოლოგებს. ბავშვების ცხოვრების გაუმჯობესება თანამედროვე მსოფლიოში ხდება არათანაბრად: მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, რუსეთი ამ საკითხში ჩამორჩებიან დასავლეთ ევროპას, კანადას თუ იაპონიას.



როდესაც ბავშვი ეცნობა მის გარემო არსებულ საგნებს.

3-დან 6-7 წლამდე - სკოლამდელი ასაკი, როდესაც ბავშვი თამაშის დროს სწავლობს, როგორ ააგოს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან;

6-7 წლიდან 10-11 წლამდე - უმცროსი სასკოლო ასაკი, როდესაც ბავშვი შესანიშნავად ითვისებს ცოდნას, რაღაცას აკეთებს თავისი ხელებით: ხელსნობს, რაღაცის კონსტრუქციას აგებს, აყენებს ცდებს, ზრდის...

პირველი 6 წელი - ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი ადამიანის განვითარებაში. ამ დროს ყალიბდება ხასიათი.

ერთადერთი ბავშვები ოჯახებში უფრო მონყვლადები, უფრო ეგოისტები, თუმცა, უფრო მიზან-

ბული ბავშვები აფრიკაში ჩვილები 100 გარდაცვალება მოდის. 55 გარდაცვალება ათას დაბადებულზე - ლათინურ ამერიკაში. 5-ზე ნაკლები - ევროკავშირში, 6 - ამერიკის შეერთებულ შტატებში, 7,3 - რუსეთში.

1960 წელს გამოვიდა პირველი სამეცნიერო ნაშრომი ბავშვობის ისტორიაზე - ესაა ფრანგი ისტორიკოსის ფ. არიესის წიგნი „ბავშვი და ოჯახური ცხოვრება ძველი წესრიგის დროს“. ამ წიგნის მთავარი აზრია: ბავშვების ცხოვრებისეული გამოცდილება სხვადასხვა ქვეყნებსა და სხვადასხვა საუკუნეებში ერთნაირი როდია.

5-ჯერ უფრო მალე სწავლობენ წერას და კითხვას ბავშვები, რომლებსაც მუდმივი ურთიერთობა აქვთ კომპიუტერთან, ამტკიცებენ ინგლისელი მეცნიერები.

12 000 სიტყვას წარმოთქვამენ ყოველდღიურად 3-4 წლის ბავშვები და იძლევიან 900 უპიტიზმას.

ადრეული ბავშვობის დასასრულისთვის ბავშვი ფლობს თითქმის ყველა სინტაქსურ კონსტრუქციას, რომელიც ენაშია.

შვედეთში მოქმედებს კანონი, რომელიც რეკლამას უკრძალავს მიმართოს ბავშვებს 12 წლამდე. მიზანია, რომ ამ ასაკში ბავშვები უფრო შთაბეჭდილებები არიან და რეკლამამ შეიძლება მათზე ცუდი გავლენა მოახდინოს.

ადამიანების უმრავლესობას არ ახსოვს თავისი ცხოვრების პირველი წლები, ამ მოვლენამ თავისი სახელწოდებაც კი მიიღო - ინფანტილური ამნეზია.

სათრეველა

ნავარო, ისევ ნავარო?

არც თუ უსაფუძვლო ეჭვი დაბადა ნაციონალთა ნაცადი რუპორის - საქართველოში „ენდიას“ ახალი ლიდერის კრისტინა ვილფორმის მიერ გამოკითხულებისათვის გადაბრალებული „კვლევა-ძიებამ“.

გამოკითხვა თავის ხელრთვით „ნაცებისთვის“ კვლავ ასრულებს მთავარ როლს.

სათქმელად სხვა აღარც ეთქმის; რაღად გვეტყვის, ვისთვისა და რა ვარო? ბედი, აი!

საქართველო კვლავ დასეტყვა „ენდიამ“, მოგვივლინა დღეს ახალი ნავარო!

ალექსანდრა შენგელია ქუთაისი.



რეკლამა 299-62-77; 568 82-09-84.

ინფორმაცია

სამთაყაროელს წყალი არა აქვთ

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაყაროს მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. ადგილობრივები ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ.

სამთაყაროში ამბობენ, რომ ძლიერი სიციხის და გვაღვების გამო ვენახები გახმა, რის გამოც მოსავლის გარეშე დარჩნენ. გლეხები ხელისუფლებისგან ზარალის შემსწავლელი კომისიის შექმნას და შესაბამის კონპენსაციას ითხოვენ.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუნყემა, სამთაყაროში გამართულ საპროტესტო აქციაზე დედოფლისწყაროს რაიონის გამგებელიც იმყოფებოდა. ნიკა ჯანიაშვილის განცხადებით, გაფუჭებულ ყურძენს „სახელმწიფო მარანი“ ჩაიბარებს, მისი ფასი კი ერთი ლარი იქნება.

ინტერპრესი

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

შისანიშნავი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა რუსებს ფინელებთან. ისინი ჩვენთან სასმელად ჩამოდიან, ჩვენ კი მათთან საჭმელად ჩავდივართ.

მეძალთანაბი - ესენი არიან მამაკაცები, რომლებიც კარგად გრძობენ, როდესაც უნდათ ქალებს „უბრალოდ“ და როდის - „გასათხოვებლად“.

მიბატონა შენმა შეყვა-



რებულმა გოგომ? ნუ ინერვიულებ, მიგიღებ ისეთს, როგორც ხარ! სამხედრო კომისარიატი.

ჭკვიანი, ლამაზი, მეოჯახე - მამაკაცებისთვის მიმზიდველი ეს სამი თვისება ერთდროულად არასოდეს არ არის ერთ ქალში.

ბედნიერება - ეს ის არის, როდესაც წინა დებრესიამ უკვე ჩაიარა, მომდევნო კი ჯერ არ დაწყებულა.

ავტორთა საჭურავლო რედაქციის მიერ შეუქმნა მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA გ. ანვლიანის (ყოფილი პერმსკაიის) ქ. 19 ინფორმაცია 66434

გამომცემლობა: შპს „თანამდგომარეობა“ - გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772 233 138 5001

მთავარი რედაქტორის მაგიერ სპარტაკ ქობულაძე 299-62-77; 599 36 00 35

მთავარი რედაქტორი ალექსი ასლანიშვილი 599 568186 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსიბი 599 17-21-21; პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაძე 514 33-33-24